ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. #2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #130

7 ივნისი 2012 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გურიის რეგიონალური განვითარების სააგენტოსათვის“, წერეთლის ქუჩა N1-ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ყოფილი არქივის შენობა–ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 52,2 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19[5] მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქ. N1-ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული, ყოფილი არქივის შენობა–ნაგებობის მეორე სართულზე არასაცხოვრებელი ფართიდან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გურიის რეგიონალური განვითარების სააგენტოსათვის“ არასაცხოვრებელი ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით გადაცემასთან დაკავშირებით,

ვბრძანებ:

1. გადაეცეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გურიის რეგიონალური განვითარების სააგენტოს“ დაბა ჩოხატაურში წერეთლის ქუჩა N1-ში მდებარე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ყოფილი არქივის შენობის II სართულზე 717.1 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართიდან (საკადასტრო კოდი – 28.01.22.016.01.508), 52.2 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი, მეორე სართულის გეგმის მიხედვით (იხ. დანართი), სამსახურებრივი ფუნქციონირებისათვის, საბალანსო ღირებულებით 1 352 ლარი.

2. დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგებელს (ლელა იმედაშვილი) მოამზადოს მხარეებს შორის უსასყიდლო უზუფრუქცის ხელშეკრულება და მიღება–ჩაბარების აქტი.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. # 4.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*